# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 29. ხუთშაბათი, 20 ივლისი, 1906 წ. გაზეთის № 85

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

* * *

გაისმა გრგვინვა მედგარი,
მწყობრად გავარდა თოფები...
ოხ, საზიზღარნო, კარგად ვგრძნობ,
რისთვისაც გცვივათ ცოფები!..

ხომ აგისრულდა წადილი,
გული გაუპეთ ტყვეებსა,
ხელ-შეკრულებზედ მამაცნო,
იმათზედა სცდით ტყვიებსა?..

რაზედ ამართეთ მახვილი,
რაზედ დახოცეთ გმირები,
მისთვის, რომ ტანჯულ ხალხისა
იყვნენ გულშემატკივრები,

რომ მედგრად პირში გამხელდნენ
საზიზღარ მონურ წესებსა,
მიწას უთხრიდნენ,—ჰკაფავდნენ
ძალ-მომრეობის ფესვებსა?..

თითქო სიმართლემ შეგაკრთოთ,
ჩამოგიბნელდათ თვალები,
მის ჩასაქელად მოიღეთ
ჯოჯოხეთური ძალები?

მაგრამ რა?.. გმირთა საფლავი
სათაყვანოა,—საქები;
თქვენს ცხოვრებას კი დააჩნდა
მით სამარცხვინო ლაქები!..

დადგება წუთი დიადი,
სხივ-მოქედილი,—მზიანი,
დადგება წამი განკითხვის,
ჭეშმარიტ-სწორე გზიანი.

ძეგლს დაგიდგამენ თოფებით,
სახრჩობელებით მკობილსა,
ზედ წააწერენ თქვენს სახელს,
სამარადისოთ გმობილსა!..

სოდ. გ—მე

## ტყვეები

გარშინისა

სამცენარეო ბაღში სდგას მედიდურად უზარმაზარი ორანჟერეა (მცენარეთა სახარებელი შუშაბანდიანი საზამთრო თბილი შენობა). იმისი კედლები და თაღებიანი სახურავი შესდგება რკინის ჩალანგარა-ჩარჩოებისაგან, რომელნიც გაბმულ გამობმულან ობობას ქსელივით აღმა და დაღმა, სიგრძე-სიგანით და შიგ ჩასმულია სქელი შუშები, ისე, რომ მთელი შენობა ერთიანი შუშაბანდია.

საუცხოვო და თვალთ წარმტაცია ეს შენობა სალამოობით, როცა ჩამავალი მზე ზედ აფრქვევს თავის ცეცხლის ალს და როცა იგი ალისფრად ბრწყინავს.

ამ გამჭვირვალე შუშაბანდში გამომწყვდეულან მცენარეები. დიდია შენობა, მეტად ხალვათი, მაგრამ მცენარენი მაინც კიდევ ვიწროდ არიან. გადაბმულა ზედიზედ მათი ფესვები, ართმევენ ერთმანეთს სინესტ სინედლეს და საზრდოს ეცილებიან; ტოტებიც ერთი მეორეს გადახლართვიან, ჭერსა და კედლებს მიბჯენიან, იზნიქებიან, იკაკვებიან, რაკი წელში ვერ გამართულან და საბრალოდ იჩაგრებიან.

მებაღეები თავს ადგანან დარაჯებივით და გათამამების, ტოტების გაშლის ნებას უშლიან: წვერებს აკვეცენ ბასრის მახვილით, ნორჩ ყლორტებს აბმენ მავთულებით, ბორკილს ადებენ, განძრევის ილაჯს აღარ აძლევენ, რომ არ გასცილდნენ ამ ვიწრო ფარგალს, შორს არ წავიდნენ.

მცენარეებს კი ზრდა ექირვებათ; თავისუფალ, ხალვათ ალაგს ეძიებენ, სუფთა ჰაერს და სინათლეს ეტანებიან.

მართალია, სინათლე შენობაშიაც შედის, კაშკაში გააქვს ბუმბერაზ გუმბათს, მაგრამ განა ეს მბჟუტავი და მკრთალი შუქი ცის ქვეშეთის უხვ სინათლეს შეედრება?!

ზამთრობით ხომ აქ ჰაერი სულ დახშულია და მცენარეებს სული და გული უწუხდებათ, რაკი შუშები სულ ერთიანად იყინება და შენობაში წყვდიადია გამეფებული.

დგანან მცენარენი და ყურს უგდებენ ქარის ზუზუნს გარინდებულად, კანკალ-თახთახით და ვინ იცის რას ჰფიქრობენ თავისებურად! მათ აგონდებათ სულ სხვა ქარი, თბილი, საამო, რომელიც ერთ დროს მათაც უქროდათ და სხვა სიხარულს, ლხენასა ძლევდა! აგონდებათ და ნატრობენ, ნეტავი იმავ ქარმა ისევ დაგვბეროს, შეგვარხიოსო, აგვიშრიალოს ჩვენც ფოთლები სამურადო!

მაგრამ სად არის! არ ეყურება იმათ ნატვრა არსით არავის! იმათთვის სიოც კი არსად იძვრის... დაგუბებულა შეხუთული, შმორი ჰაერი და მეტად უშხამავს შევიწროვებულ ტყვეებს სიცოცხლეს.

ათასში ერთხელ ზამთრის გრიგალი თუ შეამტვრევს სადმე ერთ შუშას და დაუწყებს ზუზუნს ყურ-ჩამოყრილ მუნჯ მცენარეებს, მებაღეები გატეხილ შუშას წამსვე სხვა შუშით ამოჰქოლავენ, სუფთა ჰაერს გზას უხშობენ და შესვლის ნებას აღარ აძლევენ!

სასტიკია მეტის მეტად ბაღის პატრონი და ნირს არ უშლის შემოღებულ წეს-წყობილებას.

მცენარეთა შორის ჩარეულიყო ერთი პალმის ხე. თავი ამაყად აელო და სულ ზევ-ზევით იყურებოდა. იმის ლერწამ ტანს შურით უჭვრეტდნენ სხვა მცენარენი, დიდად სცდილობდნენ და შენატროდნენ თანასწორობას, მაგრამ დაგვალულ ტანით ვერა სწვდებოდნენ. პალმის ხეს კი ეს ლერწამი ტანი, სითამამე მწუხარების მეტს არას აძლევდა: იგი შორს გამჭვრეტელი იყო და ამიტომ ყველაზე მეტად ჰგრძნობდა ჩაგვრა-ტანჯვას, ყველაზე კარგად ისა ჰხედავდა ცასა და ქვეყანას, იმისი სივრცე და შვენება მეტად ჰხიბლავდა მას, ვით ანდამატი, სულ თავისკენ იზიდავდა. ყველაზე მეტად იგი სწუხდა, იტანჯებოდა, რომ ამ ჯურღმულში გამომწყვდეულს სული ხუთებოდა... როდესაც სხვები თავდახრილნი იდგნენ და სდუმდნენ, ან უდარდელად, უზრუნველად ყრუდ შრიალებდნენ, ის მოუსვენრად, მოუთმენლად კარზედ იწევდა; თავისუფლებას, სიხალვათეს და წმინდა ჰაერს, თუნდა ამ შეზღუდულ გუმბათის ქვეშ, გულით ნატრობდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! როდის მოვა ნეტავ ის დრო, რომ კიდევ მოგვრწყონ, გაგვანედლონ, ნამს ვეღირსოთო! ჰკითხულობდა და ნატრობდა იგი მალ-მალ, რადგან მეტის მეტად



**ავტონომიური ფინლიანდია**—მრეწველობაში ქაღალდის ქარხნებს ფინლიანდიაში უჭირავს პირველი ადგილი. ოცდა ათზე მეტი ქარხანაა ქაღალდის საკეთებელი და ხის საფქვავი. უმეტეს ნაწილად ფინლიანდიაში ნაძვის ტყეებია. ნაძვი კარგი მასალაა ქაღალდის გასაკეთებლად. ამისათვის ხეს ქერქს აცლიან, სჭრიან პატარა ნაჭრებად, ჰხარშავენ, ნუჟრებს აცლიან და შემდეგ ჰფქვავენ. ნაფქვავი წყალში იზილება. შემდეგ ქაღალდის ქარხანაში ურევენ ცელულოიდს და აკეთებენ ქაღალდს. წიგნები მრავლად იბეჭდება ფინლიანდიის ქაღალდზე, სხვათა შორის „შრომაც“ იქაურ ქაღალდზე იბეჭდება.

უყვარდა გრილი სინესტე:—სული მიშფოთავს, გული მიწუხს, მგონი დღეს თუ ხვალ ფესვიან ტოტიანად ჩამოვხმებით!

— რა დაგემართა, შე წოწოლავ, რომ ვერა ძღები? ნუ თუ არა გყოფნის, ამოდენა წყალს რომ გასხამენ? მეტი რა გინდა, დღეში ერთხელ ხომ მუდამ გრწყავენ!? ეუბნებოდა ღიპიანი კაკტუსი (მცენარეა, რომელიც მარტო რბილ ტანისაგან შესდგება, რომელსაც ხორკლიანი ეკლები ასხია). მაშ მე რაღა ვთქვა, ასე ცოტა წყალს რომ მასმევენ! მაგრამ, ხომ მხედავ რა რიგ ვღალნებ! შენებრ მუდამ არ ვბუზღუნებ და არ ვყაყანებ!

— ჩვენ არ გახლავართ დაჩვეული მაგგვარ ცხოვრებას, მაგგვარ სიძუნწეს. გული უხვი გვაქვს, უხვად უნდა ჩვენს გვარ ხეს საზრდო. ჩვენ გვწადია, რომ ქვეყნიერებას არ შევნატროდეთ, დარაჯებს ხელში გლახასავით არ შევცქეროდეთ... ამ გამოფიტულ, მშრალ მიწაზე ჩვენ გვარის პალმებს არ შეუძლიანთ იცოცხლონ ისე, როგორც კაკტუსებს. ჩვენი ბუნება უხვია, სხვები სარგებლობენ, ჩვენ კი შევნატრით ამ ბუნებას,—რისთვის ნეტავი? რა, რა უნდათ ჩვენგან ამ ჩვენს მტარვალებს?!.

— მეც კაკტუსივით კმაყოფილი ვარ ჩემის ცხოვრებით და არ ვემდური ჩემს სვე-ბედს. მართალია, ვიწროთა ვართ გამომწყვდეული, მაგრამ სანაცვლოდ ვერავინ ხელს ვერ გახლებს და წარამარა გლეჯას, წიწკნას ვერა ვინ დაგვიწყებს!—ჩაერია ლაპარაკში დარიჩინი.

— ბევრი, შეიძლება, ამ გვარ სიცოცხლეს არად აგდებს და სატუსაღო სამოთხედაც ეჩვენება, რადგან თავისუფალ ცხოვრებაშიაც იგი საბრალო მდგომარეობას არი დაჩვეული,—უთხრა მას გვიმრამ.

დარიჩინმა დაივიწყა, რომ მას სწიწკნიდნენ, ითაკილა ეს შენიშვნა და გაწიწმატდა... ზოგი დარიჩინს, ზოგიც გვიმრას გამოესარჩლა და კამათი ასტყდა! რომ შესძლებოდათ, ერთმანეთსაც კი მისწვდებოდნენ, ტოტებს და ფოთლებს სულ ერთიან დააგლეჯავდნენ.

— რა დროს ჩხუბია, ამხანაგებო, უთანხმოება? განა მაგითი შეიძლება თქვენი მდგომარეობა გააუმჯობესოთ? ტოტი გაშალეთ, გაიზარდეთ განზე და მაღლა, ერთად მივაწვეთ ამ ჭერ-კედლებს მძლავრად და მაგრა, გავანგრიოთ და გავხდებით თავისუფლები. მარტო ერთი ვერ შესძლებს იმის განგრევას და თუნდაც შესძლოს, იმ წამსვე თავს მოკვეცავენ, ხოლო ასობით ღონიერს და თამამ მცენარეს ვერას გვიზამენ!... ჩვენ გვეჭირვება შეერთებული, მეგობრული ცდა-მოქმედება და გამარჯვებაც უეჭველად ჩვენსკენ იქნება!

პალმის ხის სიტყვას ჯერ არავინ ყურს არ უგდებდა, არ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ და ამიტომ ყველანი სდუმდნენ. ბოლოს ერთმა უპასუხა:



ავტონომიური ფინლიანდია —ხის საფრქვავი ქარხანა ანუ წისქვილი.

— ეგ შენი რჩევა არ მომწონს, სისულელეა!

— სისულელეა, სისულელე!—შესძახა ყველამ: ოცნებაა უსაფუძვლო, შეუსაბამო! ჩვენ როგორ ძალგვიძს ამ მკვიდრ



ავტონომიური ფინლიანდია.—ქაღალდის ქარხანა.

კედელს რამე დავაკლოთ?! ან რა გამოვა, თუნდაც შევიძლოთ! მოგვეხვევიან მებაღენი ცულით, წალდებით, მიგვჩეხ-მოგვჩეხენ, ტოტებს შეგვასხვეპენ და უარეს დღეში ჩაგვაგდებენ!

— მაშ კარგი, ძმებო, როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ. დარჩით ისევ ოთხ კედელს შუა გამომწყვდეულნი. მე კი ვეცდები, უთქვენოდაც გავიკვლიო გზა. მე მსურს დავინახო ქვეყანა, მზე და სინათლე. არ შევუდრკები არავითარ შიშს, არავითარ განსაცდელს და მგონი კიდეც მივაღწიო ჩემს საწადელს! — უთხრა პალმის ხემ.

იგი არ იტეხდა გულს, მან ამაყად გადახჭედა ქვეშ გადაშლილ, ამწვანებულს ტყეს.

მცენარეებში ვერც ერთი პასუხს ვერა ჰბედავდა, თუმცა კი თავის თვალით ჰხედავდა უსამართლობას.

ბოლოს ერთმა ძლივს-ძლივობით ხმა ამოიღო და ჯაშუშივით წასჩურჩულა თავის მეზობელს:

— დაიცადოს, მალე ვნახავთ, როგორ მოჰკვეთავენ თავს! ღმერთო შეგცოდე და იქნება ახიც იყოს: დაივიწყებს მეტიჩარობას და ტრაბახს!

იქვე, პალმის ქვეშ, მიწის პირად რაღაც ბალახი განაპულიყო. იმასაც ბევრი ვაი-ვაგლახი ენახა: ფეხით სთელავდნენ, ზედ დადიოდნენ! იმასაც უყვარდა წმინდა ჰაერი, სწყუროდა თავისუფლება. აქ ყოფნა მასაც საპატიმროდ ეჩვენებოდა.

ეს ბალახი ძირში შემოჰხვეოდა პალმის ხეს და ყურს უგდებდა, თითქო მისი ბაასი ჰკუაში მოსდისო.

— თუ კი მე, მწირი, მჭკნარი ბალახი ასე ვწუხვარ და ვიტანჯები უწვიმ-უმზეოდ, რას უნდა ჰგრძნობდეს [illegible] ზე,

სიცოცხლით სავსე, ჯანით და ღონით სრული?—ჰფიქრობდა იგი თავის პაწია გულში და პალმის ხის ტანს ზედ ეკვრებოდა, თითქო იმისაგან მოელოდა ხსნასა და შველას:—ახ, ნეტავი მეც ასე დიდი ხე ვიყო,—მეც იმასთან ერთად თავისუფლება მეღირსებოდ დაიჯერებდნენ მაშინ სხვები, რომ ეს პალმის ხე მართალს ამბობდა.

მაგრამ იგი არ იყო დიდი მცენარე, ბალახი იყო უსუსური და არ იცოდა, როგორ მოეკლა მწუხარე ფიქრი.

— მეც, პალმის ხევ, შენსავით შევნატრი მზეს, ქარს, სიგრილეს, წვიმას,—მაგრამ უღონობით ვერ მივაღწევ თავისუფლებას.. შენ დიდი ხარ, ახოვანი, მძლავრი, მაღალი და შეგიძლიან მალე გახდე თავისუფალი... მაშინ, გთხოვ, მეც ჩამომძახო, ხომ ისევ ისე მშვენიერია ქვეყნიერება. მაგით დიდათ მასიამოვნებ, ეგ ხმა იქნება ბედნიერება.

— რატომ [illegible]არ გინდა შენც, ბალახო, ჩემთან წამოსვლა! შემოეხვიე ჩემს მაგარს ტანს და წამომყევი, ძნელი არ არის, რომ შენ გიტვირთო!..

— მე?.. შემომხედე, რა სუსტი და ღონდლო ვარ; ჩემი ფოთლების ზიდვის თავიც არა მაქვს! მაგრამ მაინც მსურს ამხანაგობა გაგიწიო..: მე არ გშორდები!

პალმა იზდება და იზდება; სულ მაღლა-მაღლა მიდის. ჯერ ხომ წინადაც აკვირვებდა მნახველს იმისი ტანი,—ეხლა კი უფრო განცვიფრებაში მოჰყავს ყველანი.



ავტონომიური ფინლიანდია.—ქაღალდის ქარხანა.

— ერთი უყურეთ ამ ჩვენს პალმის ხეს, სად აიყაყვა უცურად!

— ჩვენც ეგ არ გვიკვირს, სად აიყარა ტანი და ტოტე

ბი ასე უცბად! ჰუზნებოდნენ ერთმანეთს გაკვირვებული მცენარეები.

—მერე რა არის, რომ გაიზარდა, დიდი საქმეა გაწვლილკება! საქმე ის არის,—ჩემსავით გაგანიერდეს და დამსხვილდეს. ვითომ რა ნებავს, მაღლა რომ იწევს! არ აანგრიოს, სწორე გითხრა, ეს მაგარი—მკვიდრი გუმბათი!

იდგა პალმის ხე და ყურსაც არავის უგდებდა: სულ ზევით-ზევით მიდიოდა, მსწრაფლ იზდებოდა... ბოლოს თავისი ხშირი ტოტები მაგრად მიაყრდნო შუშის გუმბათს. ამას იქით ზრდა და გაწევა შეუძლებელი იყო... სულ მოიკაკვა, მოიკრუნჩხა იმისი კოჩორი. ჩაეგრიხა ჩარჩოების ცივ ხიდებ შუა, რომლებმაც დასჭრეს, დაუმახინჯეს ნორჩი ფოთლები. მაგრამ ხე მაინც მაგრად და შეუპოვრად იდგა; არ შეიბრალა, გაიმეტა და შესწირა თავის საყვარელი ქორფა ფოთლები. წინააღუდგა გაჭირვებას, არ შეუშინდა არაფერს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა მკვიდრ ჩალანგარას... და ბოლოს რკინა მაინც დაემორჩილა ხის ძალას...

პაწაწინა ბალახი თვალს ადევნებდა და მღელვარებით შეჰხაროდა იმის ბრძოლას.

—დავიჯერო, ვერა ჰგრძნობ ტკივილს? რაკი ეგ ჩარჩოები მაგრე მკვიდრია, არ გირჩევნია თავი მოიხარო იმის წინ?

—რაო, ტკივილი, შეწუხება! ნეტა რას ჰქვია რა მახსოვს, რასა ვგრძნობ, როდესაც თავისუფლება მინდა! შენ არ იყავი ამას წინად მამხნევებდი, ეხლა-რას ამბობ?

—მართალია, გამხნევებდი, ხელს გიმართავდი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ასე ძნელი იყო რკინასთან ბრძოლა! მებრალები, ჩემო კარგო, როცა გხედავ, რომ იტანჯები!

—ჩუმად, ხმა, კრინტი, სუსტო მცენარევ!—ნუ შემიბრალებ!. ან უნდა მოვკვდე, ან ვეღირსო თავისუფლებას?!

ამ დროს უეცრად რაღაც ჩხრიალი გაისმა. ეს იყო შუშის ნამტვრეების წკრიალ-წკრიალი... შუშა დაიმსხვრა და თან მაგარი რკალიც გატყდა. ერთი ნატეხი თავზე დაეცა ბაღის დირექტორს..

—რა ამბავია!—შეჰყვირა მან, რა დაინახა სეტყვასავით მოცვივოდა ძირს ნატეხები..

აიხედა. ორანჟერეის სახურავს ზევით თავმომწონედ აწოწილიყო პალმის კოჩორი..

—მოსჭერით ძირში სითამამისთვის ეხლავ ეს ხე!.. შეიძლებოდა ზემოთ კიდევ დაგვეხურა მეორე თალი, მაგრამ რომდის! ეგ თავისას აღარ დაიშლის: ისევ ისე გაიზრდება და სულ ყველაფერს მილეწ-მოლეწავს... ძირში მოსჭერით ეგ მეტიჩარა ეხლავე... მალე... თორემ, რა ნახავს გამარჯვებას, მაგას მიბაძავს ყველა მცენარე და დაინგრევა, დაიმხობა ეს არემარე!..

პალმის ხე შეჰკრეს, რომ წაქცევის დროს კედლები და ან სხვა რამე არ დაემტვრია. მერე მიწის პირად შემოხერხეს. შეუბრალებლად იმსი ლერწამი ტანი.

ამის დანახვით გარშემო ყველანი გაგულისდნენ. გადაწყვიტეს დახმარება, პალმის ხის შველა..

ნორჩი ბალახი, რომელიც პალმის ხეს გარეშე ერტყა, აღარ მოშორდა და ჩაეკონა თავის მეგობარს.

როდესაც პალმა ორანჟერეიდან გაათრიეს, ნამორზე დარჩა დაგლეჯილი და ხერხისაგან გაჭეჭყილი ფოთოლ-ყლორტები...

—ეგ იყო მხოლოდ ჩემი ფიქრი, ჩემი წვალება? მარტო ამისთვის ვიტანჯებოდი ამდენ ხანს? მარტო ეს იყო ჩემი განზრახვა, იდეალი, ჩემი მიზანი?!—ჰფიქრობდა გულში მომაკვდავი პალმის ხე.

—სულ ამოგლიჯეთ ფესვიანად ეგ საძაგელი, რომ აღარ დარჩეს მაგისი ნაშთი ამ არე-მარეს! მაგის ნაცვლად აქ სხვა რამ მცენარეს ჩავრგავთ..

ერთმა მებაღემ ძირში ბარი დაუგდო და პალმის ხის ნაშთი ფესვიანად ამოაგდო. გაიტანა ეზოში და დაყარა ნაგვის ზვინზე წუნწუხ-ტალახში, სადაც პალმის ხე უსიცოცხლოდ ეგდო, როგორც ობოლი; სუდარასავით ზედ დაჰფენოდა წმინდა, სპეტაკი და ფითქი თოვლი..

თ. კანდელაკი.







აქ დროის სურათები.—ძარცვა-გლეჯა.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.